სამაგისტრო პროგრამის დასახელება: არაბისტიკა/ Arabic Studies

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: არაბისტიკის მაგისტრი Master of Arts in Arabic Studies

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი).
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **არაბისტიკის** სამაგისტრო პროგრამით **არაბისტიკის** მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო **120 ECTS** კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **60 ECTS კრედიტი** ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **არაბისტიკის** სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს.
- **30 ECTS კრედიტი** განკუთვნილია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებისთვის.
  არჩევითი კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი საგნის არჩევა როგორც საკუთარი სპეციალობის, ისე მონათესავე პროფილის სამაგისტრო პროგრამებიდან.
- **30 ECTS კრედიტი** განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისთვის (სამაგისტრო ნაშრომისთვის).

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 120 ECTS კრედიტის დაგროვება, პროგრამის ძირითადი 60 ECTS კრედიტის შესრულება და ევროპული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა / ან გამოცდის ჩაბარება.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე მოქმედი არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამა ორგანული გაგრძელებაა საბაკალავრო major პროგრამისა **არაბისტიკაში.** იგი მოამზადებს არაბისტიკის მაგისტრს, რომელსაც ეძლევა ფილოლოგიური, ისტორიოგრაფიული, ქვეყანათმცოდნეობითი კომპეტენციები. პროგრამა შეინარჩუნებს და გაამლიერებს ქართული ორიენტალისტიკური სამეცნიერო–კვლევითი სკოლის ტრადიციებს და მოამზადებს მაგისტრს როგორც საკუთრივ არაბისტიკული, ისე ქართველოლოგიური კვლევებისთვის.

ამასთან პროგრამაში ასახულია დარგისთვის წაყენებული თანამედროვე მოთხოვნებიც – სათარჯიმნო, პოლიტოლოგიური, დიპლომატიური და ა.შ. სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის მიზანია, მისცეს მაგისტრს ღრმა და სისტემური ცოდნა არაბისტიკის დარგში, მოამზადოს ის როგორც არაბისტი, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და კვლევითი უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას როგორც სამეცნიერო არეალზე, ასევე პრაქტიკულ–გამოყენებით სფეროებში.

ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა ემყარება და აგრძელებს საუნივერსიტეტო ტრადიციებს, სადაც, დღიდან დაარსებისა, აღმოსავლეთმცოდნეობა ზოგადად და კერძოდ, არაბისტიკა პრიორიტეტული და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამეცნიერო დარგია. ახლო აღმოსავლეთთან მეზობლობა და მჭიდრო ისტორიული ურთიერთობა განაპირობებს აღმოსავლეთმცოდნეობის და ქართველოლოგიური სკოლის საერთო კვლევით პრობლემატიკას. ქართული აღმოსავლეთმცოდნეობითი სკოლის ტრადიციებთან ერთად, პროგრამა კარგად იცნობს და ითვალისწინებს ზოგადად აღმოსავლეთმცოდნეობის და კერძოდ, არაბისტიკის დარგში კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და მსოფლიო ორიენტალისტიკური სასწავლო და კვლევითი ცენტრების გამოცდილებას, სადაც დღითიდღე მატულობს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესი არაბული აღმოსავლეთის მიმართ, რასაც განაპირობებს ამ რეგიონის მზარდი პოტენციალი და როლი გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში.

მიმდინარე სამაგისტრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო და კვლევითი კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა და მაგისტრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **არაბისტიკის** სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **არაბისტიკის** სამაგისტრო პროგრამის მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და სტრატეგიულ ხედვას - უზრუნველყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. აღმოსავლეთმცოდნეობა, როგორც კომპლექსური დარგი და არაბისტიკა, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, იმ

პრიორიტეტულ მიმართულებებს განეკუთვნება, რომლებშიც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი შეძლებს წამყვანი პოზიციის დაკავებას რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი სამაგისტრო გამოცდები

- გარდა საერთო წინაპირობებისა (ერთიანი სამაგისტრო გამოცდა), სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებად საჭიროა საკონკურსო გამოცდის ჩაბარება არაბულ ენაში. გამოცდის ფორმა – წერითი.
- აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრი (არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული), ასევე ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის ადმინისტრირების ანდა რომელიმე მიმართულებათშორისი (რეგიონმცოდნეობითი) პროფილის ბაკალავრის ხარისხი **დამატებითი სპეციალობით - არაბისტიკა.**
- პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად საჭიროა უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B 2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).

სწავლის შედეგი:

არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამით მომზადებული მაგისტრი ერუდირებული სპეციალისტია, მიღებული აქვს დარგის შესაბამისი ღრმა და სისტემური განათლება სპეციალობაში, ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნის საფუძვლები არაბისტიკულ დისციპლინებში; იგი დარგს ფლობს კონცეპტუალურ დონეზე. ასევე მას შეუძლია დარგობრივ მონაცემთა დამოუკიდებელი ინტერპრეტირება და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა; შესწევს დამოუკიდებლად როგორც სამეცნიერო–თეორიული, ისე პრაქტიკული მუშაობის უნარი. მაგისტრს აქვს კარგი თეორიული და პრაქტიკული მომზადება, გააჩნია დარგობრივი კომპეტენციები და შეუძლია მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, შეუძლია სხვადასხვა ლიტერატურული, ლინგვისტური და ისტორიოგრაფიული გამოკვლევებისა თუ კონცეფციების შეფასება; ასევე შეძენილი აქვს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტურანტურაში) სწავლის გაგრძელებისთვის.

არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის შედეგებია:

- **ცოდნა და გაცნობიერება:**

1.1	არაბული ენის ზოგად-თეორიული ასპექტების ცოდნა; არაბული მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკოლოგიის	**არაბული ენის თეორიული გრამატიკა - მორფოლოგია, სინტაქსი (შუა საუკუნეების არაბული ენათმეცნიერული ლიტერატურა და**

	პრინციპების სისტემური ცოდნა; შუა საუკუნეების არაბული ენათმეცნიერული ნააზრევის და არაბ და ევროპელ ენათმეცნიერთა უახლესი ნაშრომების, მათი სამეცნიერო მიღწევების ცოდნა. ზოგადსემიტოლოგიური განათლების გასაღრმავებლად სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკის საფუძვლების დაუფლება და მეორე სემიტური ენის (ებრაულის, არამეულის ან აქადურის) თეორიულ (ენის სტრუქტურის) დონეზე ათვისება.	**თანამედროვე ლინგვისტური კონცეფციები)** (სავალდებულო); **სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკა** (არჩევითი); **სირიული ენა** (არჩევითი); **ებრაული ენა** (არჩევითი); **აქადური ენა** (არჩევითი)
1.2	თანამედროვე არაბული პრესის სხვადასხვა თემატიკის (პოლიტიკური პრესა, ეკონომიკა, კონფლიქტოლოგია, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მიმართულება) მყარი ლექსიკური შესიტყვებების და კონსტრუქციების ცოდნა და მათი სემანტიკური ანალიზი. თანამედროვე პოლიტიკური ტერმინოლოგიისა და ფრაზეოლოგიის ცოდნა და შესაბამისი ტექსტების ანალიზის უნარი ენობრივი თვალსაზრისით. ბიზნესის გარემოსათვის დამახასიათებელი ადეკვატური და აუცილებელი ბიზნეს კლიშეების, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და ტერმინოლოგიური აპარატის ცოდნა და მისი გამოყენება წერილობით თუ ვერბალურ ბიზნეს კომუნიკაციებში. არაბულიდან ქართულად და პირუკუ ბიზნეს პროექტების, კონტრაქტების თარგმნის აუცილებელი უნარ-ჩვევები.	**არაბული პრესის და პოლიტიკური ტექსტების ენა** (სავალდებულო); **ბიზნეს არაბული** (არჩევითი)
1.3	არაბულ დიალექტთა გავრცელების არეალისა და არაბულ დიალექტთა კლასიფიკაციის პრინციპების ცოდნა; ეგვიპტური არაბული დიალექტის დამახასიათებელ ნიშნებში გარკვევა (ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის	**არაბული დიალექტოლოგია და ეგვიპტური დიალექტი** (სავალდებულო); **პარემიოლოგია და არაბული ანდაზა** (არჩევითი)

	სფეროში) და მისი პრაქტიკული ათვისება; სირიულ დიალექტოვანი პარემიოლოგიური მასალის ათვისება ზოგადპარემიოლოგიური თეორიების შესწავლის ფონზე და მათი სამეტყველო კომუნიკაციაში გამოყენება.	
1.4	შუა საუკუნეების არაბულ პოეტურ ძეგლთა მხატვრულ-გამომსახველობით ხერხთა შესწავლა, ამ ძეგლთა სახისმეტყველების საერთო ტენდენციების ანალიზი, კერძოდ, ამ პოეზიის მეტაენის კვლევა – მყარი მეტაფორების, ე.წ. მუდმივი ეპითეტების, სიმბოლო-ფორმულების და სხვ. და მათი ინტერპრეტაცია. შუა საუკუნეების არაბული პროზის სტრუქტურული მოდელების შესწავლა, (კომპოზიციისა და სტრუქტურის პრობლემების განხილვა), მისი ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის, სტილისტურ თავისებურებებში გარკვევა (მათ შორის თავისუფალი და გარითმული პროზის). კლასიკური არაბული ლექსთწყობის (არუდის) არაბული თეორიის ცოდნა და არაბული ლექსთწყობის სისტემის ანალიზი თანამედროვე ლექსთმცოდნეობის კვლევის მეთოდების ცოდნით. **თანამედროვე არაბული ლიტერატურის** მხატვრული თარგმანის სპეციფიკის ცოდნა; მთარგმნელობითი ტექნიკის და თარგმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება; თანამედროვე არაბული ლიტერატურული ნიმუშების ორიგინალში კითხვა-თარგმნა და მათ ენობრივ სირთულეებში გარკვევა.	**კლასიკური არაბული ლიტერატურის ძეგლები** (სავალდებულო); **არაბული ლექსწყობა** (არჩევითი); **თანამედროვე არაბული ლიტერატურა დედანსა და თარგმანში (ეგვიპტური ნოველა. ორენოვანი საკითხავი კურსი)** (არჩევითი)
1.5	ყურანის, როგორც ლიტერატურული ძეგლის შესწავლა და	**ყურანი** (სავალდებულო);

	მისი, როგორც საღვთო წიგნისა და ისლამური იდეოლოგიის საფუძვლის გააზრება. ყურანის ანალიზი ენობრივ, მხატვრულ, ისტორიულ-პოლიტიკურ დონეებზე. ყურანის შუა საუკუნეების არაბ კომენტატორების ნააზრევის ცოდნა. ისლამური სამართლის ძირითადი დარგების საბაზისო ცოდნა; ისლამური სამართლის ძირითადი ტერმინების ცოდნა; ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების თანამედროვე საოჯახო კანონმდებლობის ფუნდამენტური ცოდნა; ისლამური სასამართლო სისტემის საფუძვლების ცოდნა. რელიგიური ფაქტორის როლის ცოდნა-გაცნობიერება თანამედროვე არაბული ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში; ისლამისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთმიმართების ძირითადი საკითხების ცოდნა-გაცნობიერება. ანტიტერორისტული კანონმდებლობისა და რადიკალურ ისლამთან ბრძოლის სხვადასხვა საშუალებების ცოდნა. არაბულ ქვეყნებში არსებული კონფესიური პრობლემების საბაზისო ცოდნა; არაბული ნაციონალიზმისა და ისლამიზმის ურთიერთმიმართების საკითხების ცოდნა.	**შარიათი** (სავალდებულო); **რელიგია და პოლიტიკა თანამედროვე არაბულ სამყაროში** (სავალდებულო)
1.6	ნავთობისა და წყლის რესურსის, როგორც მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ფაქტორის და გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მქონე რესურსის გააზრება. ახლო აღმოსავლეთში ნავთობისა და წყლის მარაგის, მოპოვების, საექსპორტო შემოსავლების და თვითღირებულების შესახებ სტატისტიკური მონაცემების ცოდნა. რეგიონში ნავთობის კონტროლზე მონოპოლიისათვის მიმდინარე პროცესების ცოდნა.	**ნავთობი, წყალი და პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში /რეგიონალური და გლობალური კონტექსტი/** (სავალდებულო)
	არაბული ისტორიოგრაფიის განვითარების კანონზომიერების, თავისებურებებისა და შედეგების საბაზისო ცოდნა; არაბული წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემატიკის, თითოეულ	**არაბული ისტორიული წყაროები და მათი ენა** (სავალდებულო)

	ჟანრის ცალ-ცალკე და ასევე კონკრეტული ძეგლების სისტემური ცოდნა; არაბული წყაროების ურთიერთშეჯერება, კრიტიკული შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ჩამოყალიბება; არაბთა ბატონობის ხანის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საბაზისო ცოდნა. არაბული წყაროების დედანში კითხვის და მათი ენობრივი თავისებურებების ცოდნა.	
1.7	ისლამური ქალაქის განვითარების თავისებურებების ცოდნა აღმოსავლეთის ისტორიული განვითარების თავისებურებათა მაგალითზე. ისლამური ქალაქების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, სოციალური სტრუქტურისა და საქალაქო ინსტიტუტების ცოდნა. ამ ქალაქების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მნიშვნელობის გააზრება. აღმოსავლური ურბანისტიკული ტერმინოლოგიის საბაზისო ცოდნა; შუა საუკუნეების ისლამურ ქალაქებზე არაბული, სპარსული, თურქული წყაროების ცნობებისა და ახალი ურბანისტიკული გამოკვლევების შესახებ ცოდნა. ესპანურ-არაბული კულტურის მახასიათებლებისა და თავისებურებების ცოდნა; არაბთა ბატონობის პერიოდში ესპანეთში განვითარებული სამეურნეო და საქალაქო ცხოვრების თავისებურებების ცოდნა; ევროპულ კულტურასა და ცივილიზაციაზე ესპანეთის გზით არაბულ-ისლამური კულტურისა და ცივილიზაციის კვალისა და გავლენის ცოდნა.	**ისლამური ქალაქი და საქალაქო ცხოვრება** (სავალდებულო); **არაბული ესპანეთი** (არჩევითი)
1.8	შუა საუკუნეების არაბულ-ქართული და ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობების ცოდნა, კერძოდ,	**ქრისტიანული არაბული ლიტერატურა** (სავალდებულო)

	მთარგმნელობითი სკოლების ტრადიციების, ქრისტიანული არაბული ლიტერატურის, მისი ქართულ საეკლესიო მწერლობასთან ურთიერთობების ცოდნა.	
1.9	მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.	ევროპული ენა (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) B2 დონე

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**

2.1	სამეცნიერო ინტერესთა სფეროს შერჩევისა და სამეცნიერო კვლევის წარმართვის უნარი აღმოსავლური და, კერძოდ, არაბისტიკული კვლევების ასპექტებიდან, კერძოდ, ლინგვისტური (მორფოლოგიურ-სინტაქსური), შუა საუკუნეების და თანამედროვე არაბული პოეზიისა და პროზის, ლიტერატურის ისტორიის და თეორიის, პოეტიკის, ვერსიფიკაციის, ყურანისა და ისლამოლოგიის პრობლემატიკიდან. ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიული მოვლენებისა და პროცესების არსის და გენეზისის წვდომა და კრიტიკული შეფასება, მათი ანალიზი თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენებით. სხვადასხვა ლიტერატურული, ლინგვისტური და ისტორიოგრაფიული გამოკვლევებისა თუ კონცეფციების კრიტიკული შეფასება. სადაო პროფესიულ საკითხებზე	**არაბული ენის თეორიული გრამატიკა - მორფოლოგია, სინტაქსი (შუა საუკუნეების არაბული ენათმეცნიერული ლიტერატურა და თანამედროვე ლინგვისტური კონცეფციები)** (სავალდებულო); **სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკა** (არჩევითი); **სირიული ენა** (არჩევითი); **ებრაული ენა** (არჩევითი); **აქადური ენა** (არჩევითი); **არაბული დიალექტოლოგია და ეგვიპტური დიალექტი** (სავალდებულო); **კლასიკური არაბული ლიტერატურის ძეგლები** (სავალდებულო); **არაბული ლექსწყობა** (არჩევითი); **ქრისტიანული არაბული ლიტერატურა** (სავალდებულო); **თანამედროვე არაბული ლიტერატურა დედანსა და თარგმანში (ეგვიპტური ნოველა. ორენოვანი საკითხავი კურსი)** (არჩევითი); **ყურანი** (სავალდებულო);

	ექსპერტის სტატუსით ჩართვის უნარი. არაბული ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ენის ეფექტურად გამოყენების უნარი; საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის, ნათლად, სტრუქტურირებულად ჩამოყალიბების, არგუმენტირებისა და განმარტებების ნათლად გადმოცემის უნარი.	**შარიათი** (სავალდებულო); **არაბული ისტორიული წყაროები და მათი ენა** (სავალდებულო); **არაბული პრესის და პოლიტიკური ტექსტების ენა** (სავალდებულო); **ბიზნეს არაბული** (არჩევითი); **პარემიოლოგია და არაბული ანდაზა**
2.2	საბიბლიოთეკო, საარქივო და სამუზეუმო ფონდებსა და წყაროებზე მუშაობა, სამეცნიერო შინაარსის ტექსტების რედაქტირება, რეფერირება და რეცენზირება, პუბლიკაციისათვის ხელნაწერებისა და სამეცნიერო დოკუმენტების მომზადება, კომენტირება, ანოტირება. არაბული ისტორიული წყაროების ანალიზის უნარი, რომლებიც საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საფუძველს წარმოადგენენ. მიღებული მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების, მეცნიერული საქმიანობის ორგანიზაციის პრინციპების პრაქტიკული გამოყენება კონკრეტული ანალიტიკური, სამეცნიერო-პრაქტიკული, საინფორმაციო-ძიებითი, მეთოდიკური და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში.	**სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკა** (არჩევითი); **სირიული ენა** (არჩევითი); **ებრაული ენა** (არჩევითი); **აქადური ენა** (არჩევითი); **ქრისტიანული არაბული ლიტერატურა** (სავალდებულო); **კლასიკური არაბული ლიტერატურის ძეგლები** (სავალდებულო); **ყურანი** (სავალდებულო); **არაბული ისტორიული წყაროები და მათი ენა** (სავალდებულო);
2.3	არაბულ ქვეყნებში მიმდინარე რელიგიური პროცესების, ისლამური ფუნდამენტალისტური მოძრაობის, ისლამის პოლიტიზაციის პროცესების ანალიზი; თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებსა და	**რელიგია და პოლიტიკა თანამედროვე არაბულ სამყაროში** (სავალდებულო); **შარიათი** (სავალდებულო);

	პოლიტიკაში რელიგიური ფაქტორის როლის განსაზღვრა აკადემიურ და ექსპერტის დონეზე. მუსლიმური ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებში შარიათის როლის ანალიზის უნარი. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმდინარე საერთაშორისო რეზონანსის მქონე მოვლენების პროფესიულ დონეზე ანალიზის უნარი ამ ქვეყნებში მოქმედი შარიათის ნორმების სპეციფიკის გათვალისწინებით /მაგ.,მუსლიმური სიმბოლოების ტარების აკრძალვა ან მკაცრად დაცვა; ისლამის მორალური ნორმების დარღვევისათვის ქალთა სიკვდილით დასჯის ფაქტები ირანში და სხვ./.	**ყურანი** (სავალდებულო)
2.4	სანავთობო კრიზისების კლასიფიცირებისა და შეპირისპირების უნარი; ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებსა და სამშვიდობო პროცესებში ნავთობისა და წყლის რესურსების როლის გაანალიზება და შეფასება; ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების წყლის რესურსებთან დაკავშირებული პრობლემების სისტემური ცოდნისა და რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინება ისეთ პროექტებში მონაწილეობისთვის, როგორიცაა საქართველოს წყლის რესურსების ეფექტური გამოყენება.	**ნავთობი, წყალი და პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში /რეგიონალური და გლობალური კონტექსტი/** (სავალდებულო)
2.5	ისლამური ქალაქების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მნიშვნელობის გაცნობიერება; ისლამური ქალაქის, როგორც პოლიტიკური ცენტრის როლის გააზრება; არაბულ-ესპანური კულტურის ადგილისა და როლის გააზრება მსოფლიო კულტურაში.	**ისლამური ქალაქი და საქალაქო ცხოვრება** (სავალდებულო); **არაბული ესპანეთი** (არჩევითი)
2.6	მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში	ევროპული ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) B2 დონე

	სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.	

- **დასკვნის უნარი:**

არაბისტიკის მაგისტრს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების), ფაქტობრივი და ემპირიული მასალის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული განზოგადებული დასკვნების ჩამოყალიბება; კონკრეტული, ვიწროდარგობლივი მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურის თეორიისა და ისტორიულ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში, ასევე სხვადასხვა წყაროს კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; მას აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი; შეუძლია განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული ისე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა. შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.

- **კომუნიკაციის უნარი:**

არაბისტიკის მაგისტრს შეუძლია პროფესიულ წრეებში თავისუფალი კომუნიკაცია; სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დაგეგმვა, ორგანიზება და ხელმძღვანელობა; დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, თავისი დასკვნების,

არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება დარგობრივ სფეროში. **არაბისტიკის** მაგისტრს შეუძლია მაპროფილებელ (არაბულ) და ინგლისურ (არჩევის შემთხვევაში, სხვა ევროპულ) ენებზე გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, შეუძლია დარგობრივი დისკუსიის წარმართვა; სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან; შეუძლია ინფორმაციის სხვადასხვა უცხოენოვანი წყაროს გამოყენება; სხვადასხვა თემებზე თავის აზრებისა და შეხედულებების წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბება; შეუძლია სამეცნიერო ანგარიშის და ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად; დარგობრივი პრეზენტაციის წარმართვა შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.
არაბისტიკის მაგისტრს აქვს არაბულ ენაზე პროფესიულ წრეებში ვერბალური და წერითი კომუნიკაციის მაღალი კულტურა; საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში სპეციალობის ენის (არაბულის) საკომუნიკაციო ფუნქციით ეფექტურად და მოქნილად გამოყენების უნარი.

- **სწავლის უნარი:**

არაბისტიკის მაგისტრს აქვს სამუშაო დროის რაციონალურად და სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით მისი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით და პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით

ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

- **ღირებულებები:**

არაბისტიკის მაგისტრს აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.
არაბისტიკის მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, დასკვნითი გამოცდის, **სამაგისტრო** ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.). პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის ფორმატი და სწავლების მეთოდი მითითებულია ამ დისციპლინის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი, C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

დასაქმების სფეროები:

არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული **არაბისტიკის მაგისტრი** მზადდება, როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი აღმოსავლეთმცოდნეობის და კერძოდ, არაბისტიკის დარგში სამეცნიერო-კვლევითი, ანალიტიკური, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, საარქივო-სამუზეუმო, სარედაქტორო, სარეფერენტო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. აღმოსავლეთმცოდნე არაბისტი მაგისტრი მომზადებულია უმაღლეს საწავლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დამხმარე-ტექნიკური საქმიანობისთვის, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში (კერძოდ, აღმოსავლეთმცოდნეობის, ხელნაწერთა, ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის, ისტორიის ინსტიტუტებში), გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, ტურისტულ ფირმებში, სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებული იქნება მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის; პედაგოგიურ სექტორში (მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში); მათ შეუძლიათ, აგრეთვე, იმუშაონ დიპლომატიურ სარბიელზე საელჩოებსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში, ასევე თარჯიმნებად, რისი მოთხოვნილებაც დღევანდელი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებობს.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დარეჯან გარდავაძე
დამატებითი ინფორმაცია:

კვლევითი კომპონენტი:

- *სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო თემატიკა* – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არაბისტიკის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის კვლევისა და სამეცნიერო ინტერესთა სფერო საკმაოდ ვრცელია და მოიცავს აღმოსავლური (კერძოდ, არაბული) ფილოლოგიისა და არაბული ისტორიოგრაფიის მრავალ ასპექტს. კერძოდ, ლინგვისტურ (მორფოლოგიურ-სინტაქსურ) და ლექსიკოლოგიურ (სემანტიკურ-ეტიმოლოგიურ), შუა საუკუნეების და თანამედროვე არაბული პოეზიისა და პროზის, ლიტერატურის ისტორიის და თეორიის, პოეტიკის, ვერსიფიკაციის, არაბული პალეოგრაფია-ეპიგრაფიკის საკითხებს, ყურანსა და ისლამოლოგიის პრობლემატიკას; მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიას, იქ მიმდინარე სოციალ-პოლიტიკურ და რელიგიურ პროცესებს. შესაბამისად, არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტს ვთავაზობთ მთელ სპექტრს იმ საკვლევი თემატიკისა, რომელშიც არაბისტიკის დეპარტამენტის პროფესორები მუშაობენ და აქვთ გამოკვლევები. მაგისტრანტს აქვს თავისუფალი არჩევნის გაკეთების საშუალება საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ბოლო წლების დაცული სამაგისტრო ნაშრომები სწორედ საკვლევი არეალის სიფართოვით და თემატიკის მრავალფეროვნებით არის გამორჩეული.
- *ძირითადი მოთხოვნები სამაგისტრო ნაშრომის მიმართ* – სამაგისტო ნაშრომში უნდა ჩანდეს, რომ სტუდენტი კარგად იცნობს და ფლობს საკვლევ ფაქტობრივ მასალას, საკითხზე არსებულ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას, შეუძლია დამოუკიდებელი კვლევა და ამ კვლევის შედეგების ნათლად ჩამოყალიბება. ასევე სამაგისტრო ნაშრომმა უნდა აჩვენოს, რომ მაგისტრს შეუძლია ნაშრომის სათანადოდ გაფორმება და სტილისტურად გამართვა, მისთვის სამეცნიერო აპარატისა და ბიბლიოგრაფიის დართვა და საჯარო დაცვაზე მისი პრეზენტაცია.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **არაბისტიკის** სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, მასწავლებლები და მკვლევარები, რომელთაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამისა და კონკრეტული სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

2.	გოჩა ჯაფარიძე	პროფესორი
3.	ნანა ფურცელაძე	ემერიტუსი პროფესორი
4.	მაია ანდრონიკაშვილი	ასოცირებული პროფესორი
5.	დარეჯან გარდავაძე	ასოცირებული პროფესორი

6.	ნანი გელოვანი	ასოცირებული პროფესორი
7.	მარიამ ნანობაშვილი	ასოცირებული პროფესორი
8.	გიორგი ლობჟანიძე	ასოცირებული პროფესორი
9.	ხათუნა თუმანიშვილი	ასისტენტ პროფესორი
10.	ნინო ეჯიბაძე	ასისტენტ პროფესორი
11.	ნინო დოლიძე	ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი
12.	არაბული ენის ექსპერტი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ დსთ-ს ქვეყნებთან ტექნიკური თანამშრომლობის ფონდიდან	

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **არაბისტიკის** სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არაბისტიკის დეპარტამენტის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მეთოდების, უახლესი ქართულენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენებით სწავლებას და, შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევას.

არაბისტიკის დეპარტამენტი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ დსთ-ს ქვეყნებთან ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის დახმარებით აღჭურვილია სასწავლო აუდიო-ვიდეო საშუალებებით (ტელევიზორი, სატელიტური ანტენა, აუდიო და ვიდეოკასეტები, პერსონალური კომპიუტერი, კომპაქტ-დისკები); ეგვიპტიდან იღებს სასწავლო პროცესის მოთხოვნილებების გათვალისწინებით, სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო-პერიოდულ გამოცემებს; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამავე ფონდის დახმარებით და ფინანსური მხარდაჭერით 2001 წლიდან არაბული ენის პრაქტიკული კურსის წასაკითხად რეგულარულად, ყოველ სასწავლო წელს მოწვეულია არაბული ენის ექსპერტი, რომელიც პრაქტიკული ენობრივი კომპეტენციების ამაღლებაში ეხმარება ქართველ სტუდენტებს. ამჟამად თსუ-ში მყოფი ექსპერტი ოსამა მაჰმუდ რიად ალ-ამირი აქტიურად არის ჩართული არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის არაბული ენის ეგვიპტური დიალექტის პრაქტიკულ კურსში.

საქართველოში ორი წელია მოქმედებს ერაყის რესპუბლიკის საელჩო, რომელიც გახსნის დღიდან თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბისტიკის დეპარტამენტთან და სხვადასხვა ფორმით გამოხატავს მხარდაჭერას არაბული ენის საუნივერსიტეტო ფორმატში სწავლებისთვის.

არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია როგორც თსუ ცენტრალური, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები; ასევე აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების მცირე თემატური ბიბლიოთეკა და დეპარტამენტის წიგნადი ფონდი; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბისტიკის პროგრამების წიგნადი ფონდის გამდიდრება ხდება პირადი კონტაქტების საფუძველზეც, მაგ., კაიროს არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა 2010 წ-ს ამ ინსტიტუტის საკმაოდ პრესტიჟული ფრანგულენოვანი სამეცნიერო პერიოდული გამოცემის „ისლამისტიკის“ 55 ნომერი გადასცა საჩუქარად თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ბიბლიოთეკას.

არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი ენობრივი პრაქტიკა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კაიროს უნივერსიტეტს შორის დადებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ფარგლებში 1999 წლიდან ხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბისტი სტუდენტებისა და პროფესურის მოკლევადიანი სტაჟირებები (სამიდან ხუთ კვირამდე) კაიროს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბული ენის ცენტრში. სტუდენტთა ამგვარი სტაჟირებები რეგულარულ ხასიათს ატარებს, ყოველწლიურად 6–7 სტუდენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიემგზავრება მოკლევადიანი სტაჟირებით კაიროში, სადაც ენობრივ პრაქტიკასთან ერთად კულტურული პროგრამის მონაწილეც ხდება – ათვალიერებს ეგვიპტური კულტურის ძეგლებს არა მხოლოდ კაიროსა და მისი შემოგარენის, არამედ მთელი ეგვიპტის მასშტაბით (ქ. ალექსანდრია, სინას ნახევარკუნძული, სამხრეთ ეგვიპტე - ლუქსორი და კარნაკი და სხვ.). ეს ყველაფერი ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის სრული დაფინანსებით ხდება. სტუდენტთა მოკლევადიანი სტაჟირების პროგრამა არაბული ენის ცოდნის საკმაოდ მაღალ დონეს ითხოვს (სტუდენტები კაიროში ისმენენ არაბულენოვან ლექციებს, ინტერაქტივში არიან ცენტრის პროფესურასთან), ამიტომაც, ჩვეულებრივ, ამ პროგრამისთვის სტუდენტები ირჩევიან მაგისტრატურიდან და ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსებიდან არაბულ ენაში მათი აკადემიური დონის მიხედვით. ეგვიპტეს უკავშირდება კიდევ ერთი, გრძელვადიანი სტაჟირების პროგრამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბისტი სტუდენტებისთვის. ათ წელზე მეტია ეგვიპტის განათლების სამინისტრო ყოველწლიურად გამოყოფს რამდენიმე სტიპენდიას ქართველი სტუდენტებისთვის კაიროს უნივერსიტეტის არაბული ენის ცენტრში სრულ სასწავლო წლიანი პროგრამით სასწავლებლად. 3-5 სტუდენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ყოველწლიურად მიემგზავრება ერთწლიანი ენობრივი სტაჟირებით კაიროში, იძენს ახალ გამოცდილებას, ახალ ლიტერატურას, ეცნობა ქვეყანას.

ქუვეითში საქართველოს დიპლომატიური კორპუსის ძალისხმევით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაბული ენის სწავლების მხარდაჭერის მიზნით, ქუვეითის განათლების სამინისტრო 2007 წ-დან ქუვეითის უნივერსიტეტის ენათა ცენტრში

ყოველწლიურად გამოყოფს სრული დაფინანსებით (გზა, სწავლა, საცხოვრებელი) ერთ ადგილს მთელი სასწავლო წლით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბისტიკის სპეციალობის სტუდენტისთვის.

2003 და 2004 წლებში ეგვიპტეში საქართველოს საელჩოს იმდროინდელი დიპლომატიური კორპუსის ძალისხმევით დამყარდა აკადემიური კონტაქტები ლიბანთან, ლიბანში საქართველოს საპატიო კონსულის დახმარებით ტრიპოლის უნივერსიტეტის ენების ცენტრი უცხოელ სტუდენტთათვის დაწესებული სტიპენდიით იღებდა ქართველ სტუდენტებს (სულ 5 სტუდენტია ნამყოფი ამ პროგრამით) არაბულში ხანგრძლივვადიანი (ერთწლიანი) სტაჟირებისთვის სრული დაფინანსებით. ეს პროგრამა რეგულარულ ხასიათს არ ატარებს.

დამასკოსა და ლატაკიის უნივერსიტეტებთან თსუ-ს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი, ქართველი სტუდენტები ყოველწლიურად მიემგზავრებიან სირიის სასწავლო ცენტრებში სხვადასხვა მოკლე და გრძელვადიანი სტაჟირების პროგრამებით. ძირითადად დადიან დამასკოს არაბული ენის ცენტრში უცხოელთათვის ერთწლიანი სტაჟირების პროგრამით.

გარდა ზემოაღნიშნული საუნივერსიტეტო აქტივობებისა, თსუ არაბისტიკის პროგრამების სტუდენტები ინდივიდუალური აქტივობებითაც აღწევენ წარმატებებს - მათ მიეწოდებათ ინფორმაცია საერთაშორისო სასწავლო სტიპენდიების საკონკურსო პროგრამების შესახებ და ეძლევათ რეკომენდაცია, მონაწილეობა მიიღონ ამგვარ კონკურსებში.

ინფორმაცია პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **არაბისტიკის** სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ–მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არაბისტიკის დეპარტამენტი**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **არაბისტიკა**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა (120 კრედიტი)**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **ასოცირებული პროფესორი დარეჯან გარდავაძე**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011** (უცხოურ ენასთან დაკავშირებით პროგრამაში ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს №122/2011 დადგენილების საფუძველზე)
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო სასწავლო კურსები – 60 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი	ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მომამზადება	შუალედური გამოცდის/გამოცდების მომზადება	დასკვნითი გამოცდის მომზადება			შემოდგომა	გაზაფხული	
1.	არაბული ენის თეორიული გრამატიკა - მორფოლოგია, სინტაქსი (შუა საუკუნეების არაბული ენათმეცნიერული ლიტერატურა და თანამედროვე ლინგვისტური კონცეფციები)	5	30	15	55	7	15	3	წინაპირობის გარეშე		II	მ. ანდრონიკაშვილი
2.	არაბული პრესის და პოლიტიკური ტექსტების ენა	5		60	40	7	15	3	წინაპირობის გარეშე	I		დ. გარდავაძე; ნ. დოლიძე

3.	არაბული დიალექტოლოგია და ეგვიპტური დიალექტი	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ნ. ეჯიბაძე
4.	კლასიკური არაბული ლიტერატურის ძეგლები	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ნ. ფურცელაძე; ნ. დოლიძე
5.	ყურანი	5	30	15	60	5	12	3	წინაპირობის გარეშე		II	გ.ლობჟანიძე
6.	შარიათი	5	30	15	60	5	12	3	წინაპირობის გარეშე	I		ნ. გელოვანი
7.	რელიგია და პოლიტიკა თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში	5	30	15	60	5	12	3	წინაპირობის გარეშე	III		ნ. გელოვანი
8.	ნავთობი, წყალი და პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში /რეგიონალური და გლობალური კონტექსტი/	5	30	15	60	5	12	3	წინაპირობის გარეშე	III		გ.ჯაფარიძე, ნ. გელოვანი
9.	არაბული ისტორიული წყაროები და მათი ენა	5	30	30	45	5	12	3	წინაპირობის გარეშე		II	გ. ჯაფარიძე; მ. ანდრონიკაშვილი
10.	ისლამური ქალაქი და საქალაქო ცხოვრება	5	30	15	60	5	12	3	წინაპირობის გარეშე		II	ნ. გელოვანი
11.	ქრისტიანული არაბული ლიტერატურა	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		მ. ნანობაშვილი
12.	ებრაული ენა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ლ. ბახტაძე მ. ბუცხრიკიდზე
არჩევითი სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS)												
13.	სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკა	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე		II	მ. ნანობაშვილი
14.	სირიული ენა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		დ. სვანი
15.	აქადური ენა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		მ. ღამბაშიძე
16.	ბიზნეს არაბული	5		45	60	8	9	3	არაბული პრესის და პოლიტიკური ტექსტების ენა	III		დ. გარდავაძე
17.	პარემიოლოგია და არაბული ანდაზა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ხ. თუმანიშვილი
18.	არაბული ლექსწყობა	5	30	15	60	5	12	3	კლასიკური არაბული ლიტერატურის ძეგლები	III		გ. ლობჟანიძე
19.	თანამედროვე არაბული ლიტერატურა დედანსა და თარგმანში (ეგვიპტური ნოველა. ორენოვანი საკითხავი კურსი)	5	15	30	55	9	12	4	წინაპირობის გარეშე		II	დ. გარდავაძე; ნ. დოლიძე
20.	არაბული ესპანეთი	5	30	15	60	5	12	3	წინაპირობის გარეშე		II	მ. ტიკაძე

	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	x	x	ენების ცენტრის მასწავლებელი
	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)2	5		60	45	8	10	2	უცხოური ენა 1/ ტესტი	x	x	ენების ცენტრის მასწავლებელი
რეკომენდებული არჩევითი სასწავლო კურსები სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან												
1.	პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამიდან)	10	60	30	120	16	20	4	წინაპირობის გარეშე	I		გ. ალასანია
2.	საქართველოსა და ისლამური სამყაროს ურთიერთობა (ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამიდან)	10	60	20	120	16	20	4	წინაპირობის გარეშე		II	გ. ჯაფარიძე
3.	აღმოსავლეთი და დასავლეთი ახალ და უახლეს ხანაში (ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		გ. ჯაფარიძე
4.	ისლამური ფუნდამენტალიზმი (ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	30	15	63	4	10	3	წინაპირობის გარეშე	III		ნ. გელოვანი
5.	მამლუქები და საქართველო (ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	I		პროფ. გოჩა ჯაფარიძე
	სამაგისტრო ნაშრომი	**30**									IV	

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი